საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე ნუკრი გრიგოლის ასული

კაპანაძე ნუკრი გრიგოლის ასული (დ. 19. IX. 1964, ქ. ზესტაფონი), მომღერალი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002, თ. ჭოხონელიძესა და ე. მამალაძესთან ერთად). 1987 დაამთავრა სპი-ის ქიმიის ფაკ-ტი. სიმღერა დაიწყო ანსამბლ „თაიგულში", ასრულებდა სიმღერებს ძირითადად დები იშხნელების რეპერტუარიდან. სტუდენტობის პერიოდში მღეროდა ინ-ტის ვოკალურ ტრიოში, დუეტებში. XX ს. 90-იანი წლებიდან როგორც სოლისტი აქტიურად მონაწილეობდა თბილისში გამართულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან კონცერტში. კ-ის მიერ შესრულებული სიმღერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. სეფისკვერაძის მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილი „იმერეთი". საგასტროლოდ იყო ევროპის მრავალ ქვეყანაში, აშშ-ში. კ-ის შესრულება გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალურობით, ხმის ფართო დიაპაზონით, ქართ. სიმღერისათვის დამახასიათებელი ნიუანსების ოსტატური გამოყენებით.

2009 კ-მ ბავშვებისათვის დააარსა „ნუკრის სტუდია", სადაც იგი თავის გამოცდილებას გადასცემს მომავალ თაობას. ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ჩაწერილი აქვს 4 ალბომი. ბოლო ალბომი სახელწოდებით „რეპეტიცია" გამოსცა 2014. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2007).

ნ. გელოვანი